



სტატისტიკის ეროვნული სამსახური

## საქართველოს სოფლის მეურნეობა

2017 წლის II კვარტალი  
(წინასწარი მონაცემები)



18.08.2017

[www.geostat.ge](http://www.geostat.ge)


18.08.2017

საქართველოს სოფლის მეურნეობა  
2017 წლის II კვარტალი  
(წინასწარი მონაცემები)

წინასწარი მონაცემებით, 2017 წლის II კვარტალის ბოლოსათვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობამ 1 018.9 ათასი სული შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 8.5 პროცენტით ნაკლებია. აქედან ფურის სულადობამ 492.3 ათასი სული შეადგინა. ცხვრისა და თხის ჯამური სულადობა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 5.0 პროცენტით გაიზარდა და 1 231.9 ათას სულს მიაღწია. ღორის სულადობა 194.6 ათასი სული იყო, რაც 10.4 პროცენტით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. 2017 წლის II კვარტალის ბოლოსათვის ფრინველის რაოდენობამ 11 718.2 ათასი ფრთა შეადგინა, რაც 0.4 პროცენტით ნაკლებია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე.


ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და წვრილფეხა პირუტყვის სულადობა, აგრეთვე, ფრინველის რაოდენობა 2014-2017 წლების II კვარტალის ბოლოსათვის.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 2014-2017 წლების II კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)




\* წინასწარი მონაცემები.

ცხვრისა და თხის სულადობა 2014-2017 წლების II კვარტალის  
ბოლოსათვის (ათასი სული)




\* წინასწარი მონაცემები.

ღორის სულადობა 2014-2017 წლების II კვარტალის ბოლოსათვის  
(ათასი სული)



\* წინასწარი მონაცემები.

ფრინველის სულადობა 2014-2017 წლების II კვარტალის ბოლოსათვის  
(ათასი ფრთა)




\* წინასწარი მონაცემები.

წინასწარი მონაცემებით, 2017 წლის II კვარტალში რძის წარმოებამ 183.6 მლნ. ლიტრი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 7.7 პროცენტით ნაკლებია. ხორცის წარმოებამ 14.4 ათასი ტონა შეადგინა, რაც 2016 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 13.8 პროცენტით ნაკლებია, ხოლო კვერცხის წარმოებამ 151.4 მილიონი ცალი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 4.2 პროცენტით ნაკლები შეადგინა.


ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია 2014-2017 წლების II კვარტალში წარმოებული მეცხოველეობის პროდუქტების დინამიკა.

რძის წარმოება 2014-2017 წლების II კვარტალში  
(მლნ. ლიტრი)




\* წინასწარი მონაცემები.

ხორცის წარმოება 2014-2017 წლების II კვარტალში  
(დაკლული წონა, ათასი ტონა)



\* წინასწარი მონაცემები.

კვერცხის წარმოება 2014-2017 წლების II კვარტალში  
(მლნ. ცალი)



\* წინასწარი მონაცემები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში დეტალურად არის წარმოდგენილი 2016-2017 წლების მაჩვენებლები პირუტყვის სულადობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შესახებ, კვარტალურ ჭრილში.

პირუტყვის სულადობა 2016-2017 წლებში კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)

	2016				2017*	
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.	II კვ.
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	1,109.8	1,113.5	1,042.6	962.7	1,035.7	1,018.9
მათ შორის ფური და ფურ-კამეჩი	545.0	546.9	529.9	509.3	503.3	492.3
ღორი	172.1	176.2	196.5	136.2	160.8	194.6
ცხვარი და თხა	1,232.2	1,173.1	1,049.6	936.5	1,272.4	1,231.9
ფრინველი (ათასი ფრთა)	8,413.3	11,761.1	10,205.1	8,237.8	8,175.6	11,718.2

\* წინასწარი მონაცემები.

**მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება 2016-2017 წლებში**

	2016				2017*	
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.	II კვ.
ხორცი (დაკლული წონა, ათასი ტონა)	14.1	16.7	14.6	20.6	13.7	14.4
რძე (მლნ. ლიტრი)	97.3	199.0	161.6	82.2	99.7	183.6
კვერცხი (მლნ. ცალი)	151.1	158.0	144.8	136.5	146.7	151.4

\* წინასწარი მონაცემები.

2006-2015 წლების გამოკვლევების შერჩევის ბაზის ძირითად წყაროს წარმოადგენდა 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა. 2016 წლიდან გამოკვლევის შერჩევის ბაზა განახლდა და დაეფუძნა 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერას. შერჩევის ბაზის ცვლილების გამო, 2016 წლის მონაცემები შესადარი არ იყო წინა წლების მონაცემებთან. შესადარისობის უზრუნველყოფის მიზნით, საქსტატმა განახორციელა 2014 და 2015 წლების მონაცემების გადაანგარიშება. გადაანგარიშება განხორციელდა საქსტატის სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკის შესაბამისად.

2017 წლის საბოლოო მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2018 წლის 18 ივნისს.

**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევა).